ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 5

ქ. თბილისი

28.03.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ** - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
4. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
5. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
8. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
9. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი

10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

11. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ლევან გოგიჩაიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა ორნატი

   ლამზირა გიწაძე - დირექტორი

   დარეჯან ფუტკარაძე - დირექტორის მოადგილე

2. შპს ნერგები

   ირინე აბაშიძე - სკოლის წარმომადგენელი

   ზაზა თელია - დირექტორის მოადგილე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ავთანდილ აბდუშელიშვილი

დავით ჭეიშვილი

ლევან ღურწკაია

ნინო გოგსაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გიგიბერია.

სხდომა გაიხსნა 17:30 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

1. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარულ საშუალო სკოლა „ორნატში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლევან ღურწკაიამ და ნინო გოგსაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ლევან ღურწკაიას განმარტებით ერთ შენობაში ფუნქციონირებდა სკოლა და საბავშვო ბაღი. საბჭომ სკოლის წარმომადგენლებს განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა სკოლის და ბაღის გასამიჯნად. ექსპერტის თქმით სკოლამ შეასრულა პირობა, რაც დასტურდებოდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით. კერძოდ, აზომვითი ნახაზით, სურათებითა და ვიდეომასალით.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ კიბე, რომელიც სკოლამ გააკეთა ბაღში შესასვლელად, საფრთხეს წარმოადგენდა სკოლის მოსწავლეებისთვის, რადგან ერთერთი საკლასო ოთახის ფანჯრიდან შეიძლებოდა მოსწავლეები გადასულიყვნენ კიბის ბაქანზე.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნულ ფანჯარას გაუკეთებდნენ გისოსებს.

დავით ჭეიშვილის განმარტებით შესაბამისი სამსახური სავარაუდოდ არ მისცემდა ამის უფლებას, რადგან, გისოსის არსებობაც საფრთხის შემცველი იქნებოდა ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის დროს.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ აღნიშნულ საკლასო ოთახში იყო მეორე ფანჯარაც და რადგან საბჭოს წევრები თვლიდნენ, რომ ზემოაღნიშნული ფანჯარა საფრთხის შემცველი იყო მოსწავლეებისთვის, ისინი ჩაკეტავდნენ ფანჯარას საკეტით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 1

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ (ს/კ:230068066) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ექსპერტები იყვნენ დავით ჭეიშვილი და ავთანდილ აბდუშელიშვილი, ამჟამინდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები, რის გამოც ისინი საკითხის განხილვაში საბჭოს წევრების სტატუსის ნაცვლად, ექსპერტების სახით მიიღებდნენ მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ავთანდილ აბდუშელიშვილმა და დავით ჭეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ავთანდილ აბდუშელიშვილის განცხადებით სკოლას ჰქონდა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული პრობლემები. ძირითადი პრობლემა, რაც სკოლას გააჩნდა იყო ის, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით სკოლის შენობა იყო დაყადაღებული. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, სკოლის შენობა არ იყო იმ მომენტისთვის დაყადაღებული, რის შესახებაც სკოლას გამოთხოვილი ჰქონდა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, თუმცა გარკვეული ხარვეზების გამო საქმის წარმოება შეჩერებული იყო. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 60 დღიანი ვადა, რათა წარმოედინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. წარმოდგენილი ამონაწერის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის შენობიდან ნამდვილად მოხსნილი იყო ყადაღა და ასევე შესაძლებელი გახდა ახალი აზომვითი ნახაზის გაკეთებაც.

ექსპერტ ავთანდილ აბდუშელიშვილის განმარტებით, გადმოგზავნილი დოკუმენტაციით ასევე დგინდებოდა, რომ სკოლამ მოაგვარა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. კერძოდ, გაფორმებული იყო ხელშეკრულება მუნიციპალიტეტთან,

მუნიციპალური სტადიონით სარგებლობის შესახებ. ასევე სკოლამ გააკეთა ახალი საევაკუაციო გეგმა.

ექსპერტის თქმით, არ იყო მოგვარებული მერხებთან დაკავშირებული პრობლემა. სკოლას ავტორიზაცია ჰქონდა გავლილი 250 მოსწავლეზე, ხოლო სკოლაში ფიქსირდებოდა 220 მერხი და სკამი.

საბჭოს წევრებმა სკოლის წარმომადგენელს მიმართეს, რომ სკოლას აუცილებლად უნდა შეეძინა 30 მერხი და სკამი, რის შესახებაც უახლოეს მომავალში უნდა ეცნობებინა ცენტრისთვის.

სკოლის წარმომადგენლები დათანხმდნენ აღნიშნულ მოთხოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნერგების ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნერგების (ს/კ:245439878) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გიორგი გიგიბერია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე